ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N99

2016 წლის 29 ივლისი
ქ. ქობულეთი

წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი N279-ში მდებარე ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე განთავსებული მხატვრის სახლის 280.0 კვ.მ (ს/კ N20.42.01.258) საკურორტო სეზონის განმავლობაში (კალენდარული წლის 15 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით) სარგებლობის ქირა განისაზღვროს -3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო დღიური სარგებლობის ქირა 200 (ორასი) ლარის ოდენობით, რაც შეეხება წლის დანარჩენ პერიოდში ზემოხსენებული უძრავი ქონების თვიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 525 (ხუთასოცდახუთი) ლარის ოდენობით, ხოლო დღიური სარგებლობის ქირა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე